



ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობები  
(ხელშეკრულება)

დამტკიცებულია 09.12.2019 წ.

დეკონირებულია ნოტარიუსთან. ხელშეკრულების ნომერი N191484750

### ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

წინამდებარე ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას. დაზღვევის პირობების შესახებ დეტალურ ინფორმაციას იხილავთ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“-ს ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებში(ხელშეკრულება)(რომელიც დეპონირებულია ნოტარიუს თინათინ რურუას სანოტარო ბიუროში. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი #191484750) და რომელიც განთავსებულია მზღვეველის ვებ გვერდზე: [www.unison.ge](http://www.unison.ge) და შესაბამის პოლისში

მზღვეველის დასახელება	სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“
დაზღვევის ხელშეკრულების სახე	ავტოტრანსპორტის დაზღვევა
დაზღვეულის რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქურდობა , ძარცვა, ყაჩაღობა;</li> <li>• ავტოსაგზაო შემთხვევით, სტიქიური უბედურებით, ხანძრით, აფეთქებით, მეხის დაცემით, სხვა და სხვა საგნების დაცემითა და მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი;</li> <li>• ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მე-3 პირის (გარდა მძღოლისა და მგზავრებისა) სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე და/ან ქონებაზე ზიანის დადგომა; (იმ შემთხვევაში თუ სახეზე არ არის მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა) თუ ასეთი გათვალისწინებულია სადაზღვევო პოლისში</li> <li>• უბედური შემთხვევის შედეგად მძღოლისა და/ან მგზავრების სიცოცხლეზე ან ჯანმრთელობაზე ზიანის დადგომა. (იმ შემთხვევაში თუ სახეზე არ არის მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა) თუ ასეთი გათვალისწინებულია სადაზღვევო პოლისში</li> </ul>
პრემიის გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი	<p>დამზღვევის მხრიდან მისივე ინიციატივით დაზღვევის ვადამდე შეწყვეტის მომენტში:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიუხედავად უზარალო სადაზღვევო პერიოდისა, თუ დამზღვევს წარმოშობილი აქვს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული პრემიის გამომუშავებული ნაწილის გადახდის ვალდებულება, მაშინ დამზღვევმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ვალდებულების შესრულება (დავალიანების დაფარვა) ხელშეკრულების შეწყვეტამდე. დარჩენილ დავალიანებას ასევე დაემატება მთლიანი სადაზღვევო პრემიის 10%, რომლის გადახდის ვალდებულებაც დაეკისრება დამზღვევს.</li> <li>• თუ შესაბამისი დაზღვევის პოლისით გათვალისწინებულ დამატებითი ბენეფიტები და ერთი ან რამოდენიმე ბენეფიტებზე დამზღვევს ნასარგებლი აქვს, ასეთ შემთხვევაში ვალდებულ</li> </ul>

	<p>მზღვეველს გადაუხადოს გამომუშავებულ პრემიას დამატებულ მთლიანი სადაზღვევო პრემიის 20%.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ერთჯერადი ან მორიგი სადაზღვევო შესატანის დადგენილ პირობებითა და დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გასაზღვრელი უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევ პირგასამტეხლო გადაუხდელო თანხის 0.1%, ყველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს პოლისით განსაზღვრულ ჯამური სადაზღვევო პრემიისა.</li> </ul>
<p>ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს სადაზღვევო პოლისის შესაბამისად</li> <li>მზღვეველი არ ანაზღაურებს ზიანს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზას, ხოლო თუ ზიანის სიდიდე მეტია ფრანშიზაზე, მზღვეველი იხდის სხვაობას ზიანის სრულ ოდენობასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი არ აღემატება სადაზღვევო თანხას) ან სადაზღვევო თანხასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი აღემატება სადაზღვევო თანხას). ფრანშიზა აკლდება ზიანის ოდენობას პროპორციული პრინციპის გათვალისწინების შემდეგ. თუ სადაზღვევო პოლისში მითითებულია მხოლოდ სიტყვა “ფრანშიზა”, ამ შემთხვევაში იგულისხმება უპირობო ფრანშიზა;</li> </ul>
<p>დაზღვევის გამონაკლისი, პირობების სრულყოფილი ჩამონათვალი</p>	<p>იხილეთ სრულყოფილი ჩამონათვალი ხელშეკრულების მე-7 პუნქტში.</p>
<p>სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები</p>	<p>❖ დამზღვევი ვალდებულია შემთხვევის ფაქტზე მზღვეველთან დატოვოს სატელეფონო შეტყობინება - შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა, მაშინ როდესაც დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია სატელეფონო შეტყობინების დატოვება, აღნიშნული დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით. ხოლო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით. <i>დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.</i></p>

	<p>❖ .თუ შემთხვევის შედეგად ზიანი მიადგება მესამე პირის ქონებას, სიცოცხლესა და/ან ჯანმრთელობას, და ასეთ დაფარვას პოლისი ითვალისწინებს, დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს ამ პირის მიერ მზღვევლთან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წერილობითი განაცხადის სახით წარმოდგენა შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, <b>წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება მესამე პირისათვის ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.</b></p> <p>❖ ზიანის დადგომის ფაქტზე მხოლოდ წერილობითი შეტყობინება არ ჩაითვლება საკმარისად ზიანის დადგომის ფაქტის დაფიქსირებისათვის, თუ დამზღვევი (მისი წარმომადგენელი), ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში არ წარმოადგენს საქმის წარმართვისათვის აუცილებელ და წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ დოკუმენტებს, <b>მზღვეველი იტოვებს უფლებას მიღებული შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე,</b> გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ ხორციელდება გამოძიება და დამზღვევის მხრიდან შეუძლებელია ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ მზღვეველი ვალდებულია გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ყველა აუცილებელი მასალის, დოკუმენტის მიღების, სადაზღვევო შემთხვევის დადგენის, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის სადაზღვევო შემთხვევის აქტში განსაზღვრიდან და სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ამ პირობებით დადგენილი წესით (თუ წინამდებარე პირობების გარდა მხარეების მიერ დამატებითი შეთანხმებით სხვა ვადები არ არის გათვალისწინებული);</li> <li>➢ მესამე პირთა წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დამზღვევის პასუხისმგებლობის დამადასტურებელი კანონიერ ძალაში შესული დოკუმენტის (დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) წარმოდგენიდან და სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, თუ წინამდებარე პირობების გარდა</li> </ul>
--	---

	<p>მხარეების მიერ დამატებითი შეთანხმებით სხვა ვადები არ არის გათვალისწინებული. ამასთან, თუ კომპეტენტური ორგანოები ფლობენ მასალებს ან საფუძვლიან ვარაუდს, რომელიც მზღვეველს აძლევს საფუძველს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, მზღვეველს აქვს უფლება გადაავადოს ანაზღაურების გაცემა საჭირო ვითარების გარკვევამდე. ამ შემთხვევაში, მზღვეველი დამზღვევს (დაზღვეულს) წარუდგენს გადავადების საფუძვლად არსებულ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.</p>
<p>სადაზღვევო პერიოდი (მოქმედების ვადა)</p>	<p>სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრება სადაზღვევო პოლისის შესაბამისად</p>
<p>პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.</p>	
<p>სადაზღვევო თანხის ოდენობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე განისაზღვრა სადაზღვევო პოლისის შესაბამისად</li> <li>• სადაზღვევო თანხა არ უნდა აღემატებოდეს პოლისში მითითებული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი მოახდენს ანაზღაურების გაცემას სადაზღვევო თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ანაზღაურების მომენტში დაზღვეული ობიექტის საბაზრო ღირებულებისა. ამასთანავე, მხარეთა შეთანხმებით, სადაზღვევო თანხა შეიძლება იყოს საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები, რომლის შემთხვევაშიც და ზარალის ანაზღაურებისას გამოყენებულ იქნება პროპორციული დაზღვევის პრინციპი; 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.</li> </ul>
<p>მითითება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისათვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შესახებ დეტალური პროცედურების მომწესრიგებელ მუხლ(ებ)ზე;</p>	<p><b>იხილეთ ხელშეკრულების მე-4.1.6.; 4.1.7; 4.1.8; 4.2. და 4.4.11 პუნქტებში.</b></p>



<p>მომხმარებლის მიერ მზღვეველისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობას და ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს;</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დამზღვევმა ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს უნდა შეატყობინოს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის. არსებითია ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით.</li> <li>2. არსებითად ჩაითვლება ასევე გარემოება, რომლის შესახებაც მზღვეველი წერილობით შეეკითხება დამზღვევს გარკვევით და არაორაზროვნად.</li> <li>3. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილის წესების საწინააღმდეგოდ მზღვეველს არ ეცნობა არსებითი გარემოების შესახებ, მაშინ მას შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. იგივე მნიშვნელობა აქვს, თუ არსებით გარემოებათა შეტყობინებას დამზღვევმა განზრახ აარიდა თავი.</li> <li>4. დაუშვებელია ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მზღვეველმა იცოდა დაფარულ გარემოებათა შესახებ, ან დამზღვევს არ მიუძღვის ბრალი მათ შეუტყობინებლობაში.</li> </ol>
<p>ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;</li> <li>• სადაზღვევო თანხის ამოწურვით;</li> <li>• დამზღვევის ინიციატივით 30 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობების მე-3 მუხლის 3.3. პუნქტის შესაბამისად;</li> <li>• მზღვეველის მიერ ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობების 3.4. პუნქტის შესაბამისად, დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ახალი პირობებით შეთანხმების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში</li> </ul> <p>დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი) მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, დამზღვევის მიერ</p>

	<p>ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე, სადაზღვევო ხელშეკრულება განახლება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი მომსახურება მზღვეელის მიერ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.</p>
<p>მზღვეველთან პრეტენზიის წარდგენის ფორმები;</p> <p>პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წყარო;</p> <p>მაქსიმალური ვადა პასუხის მიღებისთვის შესაბამისი ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე;</p> <p>მზღვეველის სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც შესაძლებელია პრეტენზიის წარდგენა;</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნებისმიერი პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში, დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია მიმართოს მზღვეველს წერილობით (იხ. <a href="http://www.unison.ge">www.unison.ge</a>), პრეტენზიის წარდგენის ფორმა და პროცედურა;</li> <li>• „პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია შემდეგ ელ-ფოსტაზე: <a href="mailto:shenikhma@unison.ge">shenikhma@unison.ge</a>, ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომერზე: (+995 32) 2 991 991 “</li> <li>• პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა 5 სამუშაო დღე.</li> </ul>
<p>მითითება დაზღვევის გამონაკლისი პირობების მომწესრიგებელ მუხლებზე და იმ პირობების ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებიც მზღვეველის ვალდებულებებისაგან გათავისუფლების საფუძვლებს ითვალისწინებს. ასევე მითითება დაზღვევის უჩვეული გამონაკლის პირობებზე, რომლებიც ჩვეულებრივ უცხოა მსგვსი ტიპის ხელშეკრულებებისათვის.</p>	<p><b>იხილეთ სრულყოფილი ჩამონათვალი ხელშეკრულების მე-7 პუნქტში.</b></p> <p>21 წლამდე ასაკის მძღოლებისათვის და მინიმუმ 1 წლიანი მართვის გამოცდილების შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება მხოლოდ 50%-ით, (მათ შორის როდესაც დაუდგენელია ზარალის გამომწვევი მიზეზი), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უფლებამოსილი მძღოლი დამტკიცებულად არ არის ბრალეული. ასევე, 21 წლამდე ასაკის მძღოლებისათვის და მინიმუმ 1 წლიანი მართვის გამოცდილების შემთხვევაში მზღვეველის სხვა პასუხისმგებლობის ლიმიტები ნახევრდება. პრემიის ან მისი პირველი შენატანის გადახდამდე დამდგარი შემთხვევები არ ექვემდებარება ანაზღაურებას. სადაზღვევო დაფარვა არ ვრცელდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების</p>

	<p>ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ან/და მძღოლისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ჯარიმაზე და საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯებზე.</p>
<p>მზღვეველის საზედამხედველო ორგანო</p>	<p>სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“; მის: ქ.თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3 ტელ : +995 32 223 44 10</p>

**1.საერთო პირობები**

1.1.წინამდებარე ავტოსატრანსპორტის დაზღვევის პირობები წარმოადგენს დამზღვევესა და მზღვეველს შორის გაფორმებულ დაზღვევის ხელშეკრულებას (შემდგომში “პირობები”). წინამდებარე პირობების დადების შესახებ გაიცემა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი - სადაზღვევო მოწმობა (პოლისი) და ავტოსატრანსპორტის დაზღვევა განხორციელდება დამზღვევის განაცხადის, სადაზღვევო პოლისის, წინამდებარე პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

1.2.დამზღვევის განაცხადი და სადაზღვევო პოლისი წინამდებარე პირობების განუყოფელი ნაწილია. სადაზღვევო პოლისისა და ამ პირობების დებულებებს შორის კოლიზიისას უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ დებულებებს.

**2.ტერმინთა განმარტება**

2.1.**უფლებამოსილი მძღოლი**-სადაზღვევო პოლისში (განაცხადში) მითითებული, დაზღვეული ავტოსატრანსპორტის მართვის უფლების მქონე პირი,რომლის მართვის მოწმობა გაცემულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მართვის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილებით, რომლის ასაკი არ არის თვრამეტ წელზე ნაკლები, თუკი სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის განსაზღვრული

2.2.**საბაზრო ღირებულება** – ღირებულება, რომელიც ყალიბდება ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – მსგავსი) ქონების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზე მოქმედების შედეგად და შესაბამის ბაზარზე დადებული გარიგების საფუძველზე;

2.3.**პროპორციული დაზღვევა**-დაზღვევა, როდესაც მზღვეველი ანაზღაურებს ზიანის ნაწილს იმ პროპორციით, რა პროპორციაც არსებობდა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის სადაზღვევო თანხასა და პოლისში მითითებული ავტოსატრანსპორტის საბაზრო ღირებულებას შორის და რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ წინამდებარე პირობების საფუძველზე;

2.4.**უპირობო ფრანშიზა**-სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს. მზღვეველი არ ანაზღაურებს ზიანს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზას, ხოლო თუ ზიანის სიდიდე მეტია ფრანშიზაზე, მზღვეველი იხდის სხვაობას ზიანის სრულ ოდენობასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი არ აღემატება სადაზღვევო თანხას) ან სადაზღვევო თანხასა და ფრანშიზას შორის (თუ ზიანი აღემატება სადაზღვევო თანხას). ფრანშიზა აკლდება ზიანის ოდენობას პროპორციული პრინციპის გათვალისწინების შემდეგ. თუ პოლისში მითითებულია მხოლოდ სიტყვა “ფრანშიზა”, ამ შემთხვევაში იგულისხმება უპირობო ფრანშიზა;

2.5.**პირობითი ფრანშიზა**-სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს. მზღვეველი არ ანაზღაურებს ზიანს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზას, ხოლო თუ ზიანი მეტია ფრანშიზაზე, საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში და პროპორციული დაზღვევის პრინციპის გათვალისწინების შემდგომ, სრულად ანაზღაურებს ზიანის ოდენობას;

2.6.**სადაზღვევო თანხა (ლიმიტი)**-სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე \_ მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი; რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისში მითითებული ავტოსატრანსპორტის საბაზრო ღირებულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი მოახდენს ანაზღაურების გაცემას სადაზღვევო თანხის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ანაზღაურების მომენტში დაზღვეული ობიექტის საბაზრო ღირებულებისა. ამასთანავე, მხარეთა შეთანხმებით, სადაზღვევო თანხა შეიძლება იყოს საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები, რომლის შემთხვევაშიც და ზარალის ანაზღაურებისას გამოყენებულ იქნება პროპორციული დაზღვევის პრინციპი;

2.7.**მიმდინარე სადაზღვევო ლიმიტი**-პოლისში განსაზღვრული სადაზღვევო თანხას გამოკლებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში უკვე ანაზღაურებული ზარალ(ებ)ის თანხა (ზარალის ანაზღაურების დროს სადაზღვევო თანხა მცირდება ანაზღაურებული თანხის ოდენობით).

2.8.**სადაზღვევო ანაზღაურება**-თანხა, ქონება ან მომსახურება, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დამზღვევის/მოსარგებლეს წინამდებარე პირობების საფუძველზე; სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა კანონის საფუძველზე დადგენილი ანაზღაურების მიღებაზე



უფლებამოსილ პირზე, რომელსაც გააჩნია სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ. ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გაცემული მართვის მოწმობის მქონე უფლებამოსილი მძღოლის მიერ დამდგარი შემთხვევისას.

**2.9. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია**-სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

**2.10. გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია**-სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისთვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

**2.11. აქსესუარი**-ავტომობილის ნაწილი, დეტალი რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ავტომობილის გამართულ მუშაობას, მათ შორის აუდიო და ტელე-ვიდეო აპარატურა, გართობის სხვა საშუალებები, ტელეფონები, რაციები და კომუნიკაციის სხვა სისტემები;

**2.12. ცალკეული დეტალები**-კანტები, მოლდინგები, პლასმასის სხვა დეტალები, საბურავები, დისკები და მისი საფარები, შუშის საწმენდები, ემბლემები, ანტენები, ყველა სახის დეკორატიული დეტალები;

**2.13. სადაზღვევო შემთხვევა**-წინამდებარე პირობებით/პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკების გარეგანი ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზიანი, რომელიც წარმოშობს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას და რომელიც დასტურდება მზღვეველის მიერ შედგენილი და მხარეთა მიერ ხელმოწერილი სადაზღვევო შემთხვევის აქტით;

**2.14. მცირე სადაზღვევო შემთხვევა**-წინამდებარე პირობებით/პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკების გარეგანი ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზიანი სადაზღვევო არ ფიგურირებს და/ან არ ხდება მესამე პირის და/ან მისი ქონების ინდეტიფიკაცია, არის მცირე გარეგანი დაზიანება (გახაზვა, მინის გაზარვა-ჩამტვრევა, საგნის დაცემა, ბორდიურზე შეჯახება, შეჯახება ხეზე და სხვადასხვა საგნებზე), ზიანით გამოწვეული სავარაუდო ზარალის ოდენობა არ აღემატება ასეთი დაფარვის ქვეშ, პოლისით გათვალისწინებულ ლიმიტს, თუ ასეთი დაფარვა გათვალისწინებულია შესაბამისი პოლისით.

**2.15. ავტო-ტრანსპორტის სრული განადგურება**-სატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტო-ტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი ღირებულების 70 ან მეტ პროცენტს შეადგენს ან დაზიანებულია ავტომობილის 70 ან მეტი პროცენტი, თუ სხვ რამ არ არის გათვალისწინებული სადაზღვევო პოლისით.

**2.16. მესამე პირის წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობა**-პოლისითა და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი, რომელიც მიადგა უფლებამოსილი მძღოლის მიერ პოლისში მითითებული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და/ან ქონებას.

მოცემული დაზღვევა არ არის დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის ქვეყანაში მოქმედი სავალდებულო დაზღვევის შემცველი. მზღვეველი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზიანზე, რომელიც აღემატება სავალდებულო დაზღვევიდან მისაღებ ანაზღაურებას, ასეთი დაზღვევის არსებობის შემთხვევაში;

**2.17. ცვეთა**-გამოიყენება მხოლოდ სრული განადგურების შემთხვევაში და გულისხმობს ავტოტრანსპორტის ბუნებრივ გაუფასურებას, რომელიც ამ პირობების მიხედვით შეადგენს ავტოტრანსპორტის სადაზღვევო თანხის 1 %-ს თვეში. სრული ზარალის არსებობის შემთხვევაში ასანაზღაურებელ თანხას აკლდება ცვეთა, არასრული თვისათვის ცვეთის კოეფიციენტი გამოანგარიშდება იმგვარად, როგორც სრული თვისათვის თუ ასეთი გათვალისწინებულია პოლისით.

**2.18. დაზღვევის დოკუმენტები**-შემდეგი დოკუმენტების ერთობლიობა: დამზღვევის განაცხადი, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი და დამზღვევის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წინამდებარე პირობები და სადაზღვევო პოლისი.

**2.19. სადაზღვევო შემთხვევის აქტი**-დამზღვევის/დაზღვეულის და მზღვეველის მიერ პოლისის პირობების შესაბამისად მხარეთა ორმხრივად შეთანხმებული და ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა, მისი გაცემის ფორმა და წესი.

**2.20. დაზღვევის მოქმედება**-დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ პოლისით განსაზღვრულ ავტოტრანსპორტზე, სადაზღვევო რისკებზე, ტერიტორიაზე, ვადებზე, წინამდებარე პირობებით ან/და პოლისით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით.

### **3. სადაზღვევო პრემია**

3.1. პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.

3.2. ერთჯერადი ან მორიგი სადაზღვევო შესატანის დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში გადაუხდელობის გამო მზღვეველი უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%, ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო პრემიისა.

3.3. თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სადაზღვევო პერიოდში, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის გამო, მზღვეველის მხრიდან გაცემულია დამზღვევზე (მოსარგებლეზე) სადაზღვევო ანაზღაურება, მაშინ დამზღვევი ვალდებულია დაფაროს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული წლიური პრემია სრულად ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.4. დამზღვევის ინიციატივით, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას იგი ყველა შემთხვევაში ვალდებულია წერილობით მომართოს მზღვეველს

ა) ამასთან დამზღვევს დაუბრუნდება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის დარჩენილი ნაწილი (დამზღვევის მხრიდან ასეთის უკვე გადახდილის შემთხვევაში), რომელსაც გამოაკლდება მთლიანი სადაზღვევო პრემიის 10%.

ბ) იმავდროულად დამზღვევის მხრიდან მისივე ინიციატივით დაზღვევის ვადამდე შეწყვეტის მომენტში, მიუხედავად უზარალო სადაზღვევო პერიოდისა, თუ დამზღვევს წარმოშობილი აქვს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული პრემიის გამომუშავებული ნაწილის გადახდის ვალდებულება, მაშინ დამზღვევმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ვალდებულების შესრულება (დავალიანების დაფარვა) ხელშეკრულების შეწყვეტამდე. დარჩენილ დავალიანებას ასევე დაემატება მთლიანი სადაზღვევო პრემიის 10%, რომლის გადახდის ვალდებულებაც დაეკისრება დამზღვევს.

**დეკონირებულია ნოტარიუსთან. ხელშეკრულების ნომერი N191484750**

გ) დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტად არ ითვლება დამზღვევის მიერ დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების ჩანაცვლება სხვა სატრანსპორტო საშუალებით, თუ დამზღვევა გაასხვისა დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება და ეს ჩანაცვლება ხორციელდება ახლად შეძენილი სატრანსპორტო საშუალებით.

დ) მაგრამ დამზღვევის ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგად, მზღვეველის მხრიდან გაცემულია დამზღვევაზე (მოსარგებლზე) სადაზღვევო ანაზღაურება, მაშინ დამზღვევი ვალდებულია დაფაროს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული წლიური პრემია სრულად, ხოლო თუ შესაბამისი პოლისით განსაზღვრული პრემია, დამზღვევის მხრიდან მისივე ინიციატივით დაზღვევის ვადამდე შეწყვეტის მომენტში, უკვე სრულად დაფარულია, მაშინ მას (დამზღვევს), მზღვეველის მხრიდან გამოუმუშავებელი პრემიის ოდენობა უკან არ დაუბრუნდება.

ე) დამზღვევის ინიციატივით, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ შესაბამისი დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული დამატებითი ბენეფიტები და ერთი ან რამოდენიმე ბენეფიტებით დამზღვევს ნასარგებლი აქვს, ასეთ შემთხვევაში ვალდებულია მზღვეველს გადაუხადოს გამოუმუშავებულ პრემიას დამატებული მთლიანი სადაზღვევო პრემიის 20%.

3.5. წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პრემია შეიძლება შეიცვალოს (გაიზარდოს/შემცირდეს) სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, თუ შეიცვლება ავტომობილის გამოყენების მიზანი, დაემატება/გამოაკლდება სადაზღვევო რისკები, შეიცვლება რისკის ხარისხი, დაემატებინ/გამოაკლდებინ უფლებამოსილი მძღოლები, ასევე მზღვეველს უფლება აქვს გაზარდოს პრემიის ოდენობა ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის დონის, სამომხმარებლო ფასების, სამომხმარებლო აქტიურობის ინდექსის და სხვა გლობალური ან/და რეგიონალური ხასიათის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

3.6. ავტოტრანსპორტის სრული განადგურების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შემთხვევაში, ან დაზღვეული რისკების შედეგად ნაწილობრივ დაზიანების შემთხვევაში, რომლის შეკეთების ღირებულებაც აღემატება სადაზღვევო თანხის 20 %-ს გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება პოლისით გათვალისწინებული წლიური პრემიის დარჩენილი ნაწილი, რომელიც დამზღვევს აქვს გადასახდელი მზღვეველისათვის.

3.7. ავტოტრანსპორტის ნაწილობრივ დაზიანებისას მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის აქტის შედგენის თარიღისათვის პრემიის დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩაითვალოს/დააკლოს გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებაში, ხოლო ავტოტრანსპორტის სრული განადგურების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შემთხვევაში გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება პოლისით გათვალისწინებული წლიური პრემიის დარჩენილი ნაწილი, რომელიც დამზღვევს აქვს გადასახდელი მზღვეველისათვის.

3.8. დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი) მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი მომსახურება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება

3.9. მზღვეველი უფლებამოსილია დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, საქართველოს ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან/ევროსთან მიმართებაში, ჯამში 5%-ით ან მეტით გაუფასურების შემთხვევაში, დამზღვევ(ებ)ისთვის წერილობით შეტყობინების გაგზავნის გზით გაზარდოს სადაზღვევო პრემიის (შესატანის) ოდენობა გაუფასურების პროცენტის შესაბამისად/ ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა თუ სადაზღვევო პრემია დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში.

#### 4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

##### 4.1. დამზღვევი ვალდებულია:

4.1.1. როგორც პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში შეატყობინოს მზღვეველს უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისათვის;

4.1.2. აცნობოს მზღვეველს ავტოტრანსპორტთან დაკავშირებით სხვა სადაზღვევო ორგანიზაციაში გაფორმებული ანალოგიური დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ;

4.1.3. წარუდგინოს მზღვეველს დაზღვევის გაფორმებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია; მიიღოს მიზანშეწონილი და გონივრული ზომები იმ მიზეზების თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ზიანი;

4.1.4. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ავტოტრანსპორტის (1) ექსპლუატაციის, შენახვის პირობებისა და გამოყენების მიზნების შეცვლის შესახებ; (2) დაზღვევის განაცხადში ან საიდენტიფიკაციო მონაცემებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ; თან იქონიოს ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა, (რომელიც სავალდებულო წესით შემთხვევის დადგომისას უნდა წარმოადგინოს მზღვეველთან) და არ დატოვოს იგი ავტოტრანსპორტში. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს ავტოტრანსპორტის ქურდობის შედეგად დამდგარი ზიანი. გამონაკლისს წარმოადგენს ძარცვა/ყაჩაღობა;

4.1.5. შემთხვევის დადგომისას, მზღვეველთან შეთანხმებით, შეინარჩუნოს დაზიანებული/განადგურებული ავტოტრანსპორტის მდგომარეობა მზღვეველის მიერ მის დათვალიერებამდე და ფოტოგადაღებამდე;

4.1.6. შემთხვევის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე კომპეტენტურ ორგანოებში (შსს, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური და სხვა), მზღვეველთან სატელეფონო შეტყობინებით - შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა, მაშინ როდესაც დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია სატელეფონო შეტყობინების დატოვება, აღნიშნული დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით. ხოლო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით. **დამზღვევის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.**

4.1.7. თუ შემთხვევის შედეგად ზიანი მიაღებება მესამე პირის ქონებას, სიცოცხლეცა და/ან ჯანმრთელობას, და ასეთ დაფარვას პოლისი ითვალისწინებს, დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს ამ პირის მიერ მზღვეველთან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წერილობითი განაცხადის სახით წარმოდგენა შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, **წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას არ განიხილოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სატელეფონო შეტყობინება მესამე პირისათვის ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.**

4.1.8. ზიანის დადგომის ფაქტზე მხოლოდ წერილობითი შეტყობინება არ ჩაითვლება საკმარისად ზიანის დადგომის ფაქტის დაფიქსირებისათვის, თუ დამზღვევი (მისი წარმომადგენელი), ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში არ წარმოადგენს საქმის წარმართვისათვის აუცილებელ და წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ დოკუმენტებს, **მზღვეველი იტოვებს უფლებას მიღებული შეტყობინება ზიანის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად და შესაბამისად უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.** გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ ხორციელდება გამოძიება და დამზღვევის მხრიდან შეუძლებელია ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვა;

4.1.9. წარუდგინოს მზღვეველს ზიანის ოდენობისა და სხვა მონაცემების განსაზღვრისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტი და მასალა;

4.1.10. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სათანადო სახელმწიფო ორგანოების მოქმედების (გამოძახება დათვალიერების ჩასატარებლად, გამოძიება, გამოძახება სასამართლოში და სხვ.) თაობაზე;

4.1.11. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს მესამე პირისაგან ოფიციალური პრეტენზიის მიღების შესახებ;

4.1.12. არ აღიაროს საკუთარი პასუხისმგებლობა და არ გასცეს პირობა ზიანის კომპენსაციაზე მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.1.13. ხელი შეუწყოს მზღვეველს სუბროგაციის უფლების გამოყენებაში, გადასცეს მას სათანადო დოკუმენტაცია/ინფორმაცია,;

4.1.14. წინამდებარე პირობებითა და პოლისით განსაზღვრული შემთხვევის დადგომისას მზღვეველს წარუდგინოს:

ა) წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ; ბ) ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა (თუ არ არის წარდგენილი დაზღვევის გაფორმებისას, ხოლო ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობი შემთხვევაში სავალდებულო წესით უნდა იქნეს წარდგენილი). გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სარეგისტრაციო მოწმობის წარუდგენლობა, დამზღვევის ნების საწინააღმდეგოდ, გამოწვეულია ყაჩაღობის/ძარცვის ფაქტით; გ) მძღოლის მართვის მოწმობა და მძღოლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა /პასპორტი, ანალოგიურად წარდგენილი უნდა იქნეს თუ იგი არ არის წარდგენილი დაზღვევის გაფორმებისას. აღნიშნული დოკუმენტაციის ჩამონათვალი შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევებში დაზუსტდეს მზღვეველის მიერ და წერილობით ეცნობოს დამზღვევეს ამის შესახებ. მზღვეველის მიერ დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენა დამზღვევეს ევალება წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ ვადებში, მას შემდეგ რაც მზღვეველი წერილობით აცნობებს დამზღვევეს ასეთი დაზუსტების შესახებ.

4.1.15. გარდა ქვეპუნქტ 4.1.14.-ში აღნიშნულისა, შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტ(ებ)ი შსს ან სხვა სათანადო ორგანოებიდან, გადასცეს მზღვეველს, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია. ამასთანავე, დაზღვეული რისკების შედეგად დამდგარი შემთხვევის შესაბამისად, დამზღვევი ვალდებულია წარმოუდგინოს და გადასცეს მზღვეველს, ამ უკანასკნელის მიერ, დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებით მოთხოვნილი, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ცნობები, დასკვნები და/ან სხვა შესაბამისი დოკუმენტები;

მესამე პირთა წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის ან უბედური შემთხვევის რისკის დადგომისას დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს წარუდგინოს ამ ქვეპუნქტის პირველ აბზაცში მითითებული დოკუმენტ(ებ)ი და მესამე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის, მკურნალობის საფასურის და/ან გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტები;

4.1.16. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ გატაცებული (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) ავტოტრანსპორტი ნაპოვნი იქნება, დამზღვევი ვალდებულია, გადასცეს იგი მზღვეველს საკუთრებაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან დაუბრუნოს მზღვეველს მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება. დამზღვევის მიერ მზღვეველზე ავტოტრანსპორტი გადაიცემა ან მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება დაუბრუნდება ავტოტრანსპორტის პოვნისა და მისი დამზღვევისათვის დაბრუნებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. ავტოტრანსპორტის მზღვეველზე გადაფორმების ხარჯებს იღებს დამზღვევი;

4.1.17. არ დაიწყოს ავტოტრანსპორტის შეკეთება მზღვეველის თანხმობის გარეშე;

**დეკონირებულია ნოტარიუსთან. ხელშეკრულების ნომერი N191484750**



4.1.18. მზღვეველს წარუდგინოს სწორი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიყალბეს; ასევე დაადასტუროს მის მიერ გადმოცემული, განმარტებული თუ განაცხადში მითითებული ფაქტები.

4.1.19. მზღვეველთან შეთანხმებულად არ გამოიყენოს ავტოტრანსპორტი სასწავლო, სასპორტო ან სპეციალური დანიშნულების (სასწრაფო დახმარება, საგზაო პოლიცია, ჯავშანტრანსპორტი, ტაქსი და ა.შ.) მიზნით;

4.1.20. სატრანსპორტო საშუალება იყოლიოს ტექნიკურად გამართულ, ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისათვის სავალდებულო მდგომარეობაში, დროულად გაატაროს სავალდებულო (ასეთი მოთხოვნის არსებობისას) ტექნიკურ დათვალიერებაზე, არ მოახდინოს ავტოტრანსპორტის ექსპლუატაცია რომელსაც გააჩნია გაუმართაობები, რომელთა არსებობისას აკრძალულია მოძრაობა საგზაო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

4.1.21. მზღვეველის დავალების საფუძველზე კომპეტენტური ორგანიზაციის (შემფასებლის) მიერ განხორციელებული შეფასების შემდგომ, თავისი ხარჯით უზრუნველყოს დაზიანებული ქონების შენახვა იმ დრომდე, სანამ მზღვეველი არ მიიღებს გადაწყვეტილებას ანაზღაურების თაობაზე, ხოლო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ თუ სახეზეა სრული განადგურება და მხარეები შეთანხმდებიან განადგურებული სატრანსპორტო საშუალების გადაცემაზე, ანაზღაურების დღესვე გადასცეს მზღვეველს საკუთრებაში განადგურებული (დაზიანებული) ქონება, რომლის გადაფორმების ხარჯებს დაფარავს დამზღვევი.

4.1.22. ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერის შემდგომ დამზღვევი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მზღვეველს საკუთრებაში გადასცეს გამოცვლილი და დაზიანებული ნაწილები, წინააღმდეგ შემთხვევაში ანაზღაურება არ განხორციელდება, ხოლო თუ სადაზღვევო შემთხვევის აქტის შედგენისას ნაწილები გამოცვლილი არ არის, დამზღვევმა იგი მზღვეველს უნდა გადასცეს მანქანის შეკეთებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც თავად მზღვეველი ამბობს უარს ნაწილების გადაცემაზე.

4.1.23. დამზღვევი/უფლებამოსილი მძღოლი ვალდებულია დაზიანებული ავტომანქანის პროვადერ სერვის ცენტრში გადაყვანის შემთხვევაში დაესწროს გადაყვანის პროცესს, ასევე დაზიანებული ავტომანქანის შეფასების შემდგომ ვალდებულია დაესწროს სერვის ცენტრის ტერიტორიიდან გაყვანის პროცესს, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი და პროვადერი სერვის ცენტრი იხსნიან პასუხისმგებლობას ავტომანქანის ნებისმიერ დაზიანებაზე.

4.1.24. დამზღვევი/უფლებამოსილი მძღოლი ვალდებულია მზღვეველის პროვადერ სერვის ცენტრში დაზიანებული ავტომანქანის შეფასებიდან და ინვოსის შედგენიდან 2 სამუშაო დღეში უზრუნველყოს დაზიანებული ავტომანქანის პროვადერი სერვის ცენტრიდან გადაყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი და პროვადერი სერვის ცენტრი იხსნიან პასუხისმგებლობას ავტომანქანის დაზიანებაზე და უფლებამოსილია ავტომანქანა გაიყვანოს სერვის ცენტრის ტერიტორიიდან.

#### **4.2. დამზღვევი/მოსარგებლე უფლებამოსილია:**

4.2.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პირობებით/პოლისით დადგენილი წესით;

4.2.2. მოითხოვოს საკუთარი ხარჯებით ექსპერტიზის ჩატარება;

4.2.3. მზღვეველთან შეთანხმებით შეცვალოს პირობები;

#### **4.3. მზღვეველი ვალდებულია:**

4.3.1. მიიღოს და განიხილოს დამზღვევის განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ;

4.3.2. წინამდებარე პირობებისა და პოლისის შესაბამისად განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი;

4.3.3. გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ყველა აუცილებელი მასალის, დოკუმენტის მიღების, სადაზღვევო შემთხვევის დადგენის, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის სადაზღვევო შემთხვევის აქტში განსაზღვრიდან და სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ამ პირობებით დადგენილი წესით (თუ წინამდებარე პირობების გარდა მხარეების მიერ დამატებითი შეთანხმებით სხვა ვადები არ არის გათვალისწინებული);

#### **4.4. მზღვეველი უფლებამოსილია:**

4.4.1. დაათვალიეროს ავტოტრანსპორტი;

4.4.2. დამზღვევის დასწრებით (თუ ეს შესაძლებელია), შეადგინოს დაზიანებული ავტოტრანსპორტის დათვალიერების აქტი;

4.4.3. ჩაატაროს ექსპერტიზა;

4.4.4. ავტოტრანსპორტის დაზიანებისას შეაკეთოს დაზიანებული ნაწილები, თუ ისინი ექვემდებარება აღდგენას;

4.4.5. შეადგინოს შეკეთების ღირებულების კალკულაცია (ნუსხა), დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე;

4.4.6. სადაზღვევო რისკების დადგომით გამოწვეულ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, მზღვეველი უფლებამოსილია გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

ამასთან მზღვეველი უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მისცეს თანხმობა დამზღვევის მზღვეველის შემფასებლის (ექსპერტის) მიერ შედგენილი და მხარეთა მიერ შეთანხმებული კალკულაციის საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეკეთება.

იმ შემთხვევაში თუ საგამოძიებო ორგანოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით მზღვეველის მიერ შემთხვევა კვალიფიცირდება სადაზღვევო შემთხვევად და მზღვეველი მიიღებს გადაწყვეტილებას ზარალის ანაზღაურების თაობაზე, მზღვეველი უფლებამოსილია ზარალის ოდენობის საბოლოო დადგენისას, უპირატესობა მიანიჭოს, საგამოძიებო ორგანოების მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნისა და დადგენილების მიხედვით განსაზღვრულ ოდენობასა და სხვა ალტერნატიული შემფასებლის მიერ შედგენილი კალკულაციით განსაზღვრული თანხების შედარებით მიღებულ უფრო მცირე ოდენობას, მიუხედავად ზარალის ოდენობის, მზღვეველსა და დამზღვევს შორის თავდაპირველი შეთანხმებისა.

**დეკონირებულია ნოტარიუსთან. ხელშეკრულების ნომერი N191484750**

- 4.4.7. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, თუ ავტოტრანსპორტის ქურდობას ადგილი ჰქონდა ამავე ავტოტრანსპორტის გასაღებით (გარდა გასაღების დაკარგვის შემთხვევისა, რაზეც დამზღვევმა შემთხვევის დადგომამდე მზღვეველს წინასწარ აცნობა);
- 4.4.8. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებით განსაზღვრულ ვალდებულებათა, მათ შორის 5.1. პუნქტში ჩამოთვლილი ვალდებულებების შეუსრულებებისას;
- 4.4.9. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მხოლოდ დამზღვევის მიერ მითითებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ კომპეტენტური ორგანოების მიერ შეუძლებელია შემთხვევის გამომწვევი ვითარების დადგენა და შესაბამისად ვერ ხდება სადაზღვევო რისკის დადგომის ფაქტის დადგენა. ნებისმიერ ეჭვი და დაუდგენელი ფაქტი მოქმედებს მზღვეველის სასარგებლოდ.
- 4.4.10. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტის ორმხრივად ხელმოწერამდე;
- 4.4.11. მესამე პირთა წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დამზღვევის პასუხისმგებლობის დამადასტურებელი კანონიერ ძალაში შესული დოკუმენტის (დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) წარმოდგენიდან და სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, თუ წინამდებარე პირობების გარდა მხარეების მიერ დამატებითი შეთანხმებით სხვა ვადები არ არის გათვალისწინებული. ამასთან, თუ კომპეტენტური ორგანოები ფლობენ მასალებს ან საფუძვლიან ვარაუდს, რომელიც მზღვეველს აძლევს საფუძველს, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, მზღვეველს აქვს უფლება გადაავადოს ანაზღაურების გაცემა საჭირო ვითარების გარკვევამდე. ამ შემთხვევაში, მზღვეველი დამზღვევს (დაზღვეულს) წარუდგენს გადავადების საფუძვლად არსებულ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.
- 4.4.12. მესამე პირის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა უნდა განხორციელდეს დამზღვევის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ.
- 4.4.13. მზღვეველი უფლებამოსილია მესამე პირის წინაშე დაზღვევის პასუხისმგებლობისას, დამზღვევის მიმართ ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში იგივე საფუძველით უარი განაცხადოს მესამე პირის ანაზღაურებაზეც.
- 4.4.14. მზღვეველი უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება, თუ დამზღვევმა ან მესამე პირმა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისათვის საჭირო ყველა საბუთის წარდგენიდან, დამზღვევსა და მზღვეველს შორის შეთანხმების მიღწევიდან და სადაზღვევო აქტის შედგენიდან ორი კვირის ვადაში არ განახორციელა ხელმოწერა სადაზღვევო შემთხვევის აქტზე.
- 4.4.15. მზღვეველი უფლებამოსილია მძღოლის და მგზავრთა უბედური შემთხვევისას, ასევე მესამე პირთა წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის რისკზე არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის/უფლებამოსილი მძღოლის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, როდესაც მზღვეველის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება დამზღვევის მიმართ ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ.
- 4.4.16. მზღვეველი უფლებამოსილია მესამე პირის წინაშე დაზღვევის პასუხისმგებლობისას, დამზღვევის მიმართ ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში იგივე საფუძველით უარი განაცხადოს მესამე პირის ანაზღაურებაზეც.
- 4.4.17. მზღვეველი უფლებამოსილია მესამე პირის ანაზღაურების საკითხი გადაწყვიტოს და გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მითითებული პირობების დაუცველად.
- 4.4.18. მიანიჭოს დამზღვევს შეღავათები ან/და გაათავისუფლოს იგი ვალდებულებისაგან, თუნდაც ამას არ ითვალისწინებდეს ან უგულვებელყოფდეს წინამდებარე პირობები;
- 4.4.19. მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, რაზედაც ერთი თვით ადრე აცნობებს დამზღვევს. თუ დამზღვევი ასეთი ცვლილების განხორციელების თაობაზე მზღვეველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით არ დაეთანხმება შეთავაზებულ წინადადებას, ცვლილება ძალაში შევა შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია 1 (ერთი) თვის ვადაში შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება;
- 4.4.20. პოლისით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მხარეთა განსხვავებული ან/და დამატებითი უფლება-მოვალეობებიც.

## 5. ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

5.1. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ფულადი ფორმით მას შემდეგ რაც მოხდება:

- 1) სადაზღვევო შემთხვევის ფაქტისა და ზიანის ოდენობის დადგენა;
- 2) ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის განსაზღვრა;
- 3) სადაზღვევო შემთხვევის აქტის შედგენა და მხარეთა მიერ მისი ხელმოწერა.

5.2. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო თანხის (დარჩენილი სადაზღვევო ლიმიტის) ფარგლებში. პირობებით ან/და პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკებით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას, ზიანის ოდენობა ანგარიშდება ფრანშიზის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ცვეთის (გარდა დაზარალებული მესამე პირის ავტომანქანისათვის მიყენებული ზიანისა) გათვალისწინებით;

5.3. მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო დამზღვევის პასუხისმგებლობის ან უბედური შემთხვევის დადგომისათვის სადაზღვევო ანაზღაურება ანგარიშდება პოლისში განსაზღვრული, მზღვეველის პასუხისმგებლობის ფარგლებში შემდეგი ლიმიტის პროცენტების (ან ქველიმიტის, თუ ასეთს ითვალისწინებს პოლისი) შესაბამისად: ა) ერთი ხელის იდაყვის სახსრის ზევით: მარჯვენა - 70 %, მარცხენა - 70 %; ბ) ერთი ხელის იდაყვი სახსრის ქვეით: მარჯვენა - 60 %; მარცხენა - 60 %; გ) ხელის ერთი მტევანი: მარჯვენა - 60 %; მარცხენა - 60%; დ) ერთი ფეხის მუხლის სახსრის ზევით - 70%; ე) ერთი ფეხის მუხლის სახსრის ქვეით - 50%; ვ) ტერფის - 50%; ზ) მხედველობის: ორივე თვალში - 100% ერთ თვალში - 35%; თ) მტევნის ერთი თითის: ცერა - 20%;



საჩვენებელი -10% ; შუა-5%; უსახელო და ნეკა-5; ი) ტერფის ერთი თითის:დიდი -5%; სხვა დანარჩენი -2%; კ) სმენის დაკარგვა:ერთ ყურში-15%; ორივე ყურში- 60 %; ლ) შერდმნების უნარის დაკარგვა: ყნოსვის -10 %; გემოვნების -5%.

5.3.1.გარდაცვალების შემთხვევაში პასუხისმგებლობის ლიმიტის 100%-ით.

5.3.2. თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად რამდენიმე პირი დაზარალდა, სადაზღვევო ანაზღაურება თითოეულს ცალ-ცალკე მიეცემა მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, თითოეულის დაზიანების ხარისხის პროპორციულად;

5.4. ქონების დაზიანების შემთხვევაში – ზიანის ოდენობა ანგარიშდება მზღვეველის შესაბამისი ექსპერტის/სპეციალისტის მიერ შედგენილი კალკულაციის საფუძველზე, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში; იმავდროულად, თუ დამზღვევის მიერ მე-3 პირზე მიყენებული ზიანის გამო, მზღვეველის მიერ (მისი პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში) მოხდა ზარალის ანაზღაურება დაზიანებული ქონების ღირებულების სრული ოდენობით, მაშინ დაზარალებული მე-3 პირი ვალდებულია მზღვეველს გადასცეს განადგურებული ნარჩენ ქონებაზე საკუთრების უფლება.

5.5. ვტოტრანსპორტის სრული განადგურების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების შემდეგ, მზღვეველი საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე პირობების თანახმად იძენს საკუთრების უფლებას განადგურებულ ან გატაცებულ ავტოტრანსპორტზე.

5.6. საერთო სადაზღვევო ანაზღაურება ერთ ან რამდენიმე სადაზღვევო შემთხვევაზე არ უნდა აღემატებოდეს მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალურ ლიმიტს (სადაზღვევო თანხას).

5.7. არ ანაზღაურდება დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის და/ან მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დადგება ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;

5.8. თუ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მიყენებული ტრავმის შედეგად დაზარალებულს მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (ინვალიდობა) ან დაზარალებული გარდაიცვალა, სადაზღვევო ანაზღაურება გადაანგარიშდება ადრე გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების გამოკლებით.

5.9. ავტოტრანსპორტის დაზიანებისას ზიანის ოდენობა ანგარიშდება ან უშუალოდ მზღვეველის მიერ ან მზღვეველის მიერ შერჩეული, ავტოტექნომსახურების შესაბამისი ორგანიზაციის მიერ შედგენილი კალკულაციის საფუძველზე. ამასთანავე მზღვეველს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია მოახდინოს ზარალის ანაზღაურება დამზღვევის მიერ წარმოდგენილი კალკულაციის საფუძველზე და დააკორექტიროს ბაზარზე არსებული ფასების შესაბამისად. მზღვეველი ანაზღაურებას გასცემს არაუმეტეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებისა.

ზარალის ოდენობაში შეიტანება აგრეთვე დამზღვევის მიერ გაწეული ხარჯი, რომელიც მან მზღვეველთან შეთანხმებით გაიღო პოლისით გათვალისწინებული დაზიანებული ავტოტრანსპორტის ტრანსპორტირებისათვის (ე.წ. ევაკუატორით მომსახურება) შემდეგი პირობების დაცვით:

5.10. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ევაკუატორის უფასო მომსახურება ხორციელდება საქართველოს მასშტაბით, პოლისით გათვალისწინებული პირობების დაცვით; იმ შემთხვევაშიც კი თუ დაზღვევის არეალად საქართველოს გარდა მითითებულია სხვა ქვეყნებიც, დაზიანებული ავტომანქანის გადაადგილების ხარჯი იფარება მხოლოდ საქართველოს მასშტაბით. ასევე არ ანაზღაურდება საქართველოს ფარგლებს გარეთ ნებისმიერი ტიპის ხარჯი დაკავშირებული ავტომობილის განთავსებასთან.

ნაწილობრივი დაზიანებისას მზღვეველი ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეთანხმებულ შეკეთებულ პუნქტამდე გადაყვანის (ევაკუაციის) ხარჯებს, ერთჯერადად ერთი სადაზღვევო შემთხვევის ფარგლებში, ამასთან, სრული განადგურებისას შეკეთებულ პუნქტამდე გადაყვანის (ევაკუაციის) ხარჯების მზღვეველის მიერ გაღებისას, ასეთი თანხები დააკლდება გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას.

5.11. ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან სხვა სადაზღვევო რისკებით გამოწვეული ავტოტრანსპორტის სრულად განადგურებისას სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო თანხის ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს სადაზღვევო შემთხვევის დროს ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებისა. გარდა ამისა სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის ოდენობა, ავტოტრანსპორტის ცვეთა და ავტოტრანსპორტის რეალიზაციისათვის ვარგისი ნარჩენების ღირებულება, თუ ეს ნარჩენები არ გადაეცა მზღვეველს შესაბამისი აქტის საფუძველზე. განადგურებული ავტოტრანსპორტის მზღვეველზე გადაცემა უნდა მოხდეს დამზღვევის მიერ სსიპ საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოში აღრიცხვიდან მოხსნის/გადაფორმების გზით. აღრიცხვიდან მოხსნის/გადაფორმების ხარჯები იფარება დამზღვევის მიერ;

5.12. ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა იმ პირობით, თუ დამზღვევი გატაცებულ ავტოტრანსპორტზე საკუთრების უფლებას მზღვეველს გადასცემს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. გადაფორმების ხარჯები იფარება დამზღვევის მიერ და დამზღვევს გადაეცემა დაზიანებული ავტომანქანა ყველანაირი სამართლებრივი შეზღუდვის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ანაზღაურება არ გაიცემა.

5.13. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, სადაზღვევო თანხა დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და საბაზრო ღირებულების შეფარდების პროპორციულად, პროპორციული დაზღვევის პრინციპის შესაბამისად;

5.14. დამზღვევის მიერ იმავე ინტერესის სხვა სადაზღვევო ორგანიზაციაში დაზღვევა (ორმაგი დაზღვევა) უნდა შეთანხმდეს მზღვეველთან. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისაგან, ხოლო ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში ანაზღაურება განხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 827-828-ე მუხლებით დადგენილი წესით.

5.15. თუ დაზღვევის ობიექტის ასაკი დაზღვევის მომენტისათვის აღემატება 3 (სამი) წელს, მზღვეველი უფლებამოსილია თავისი სურვილისამებრ აირჩიოს ზარალის ოდენობის განსაზღვრის შესაბამისი შემკეთებელი სერვისცენტრი და/ან კალკულაცია და ხარჯეფექტურობიდან გამომდინარე მოახდინოს ზარალის ოდენობის დაანგარიშება. იმავდროულად მზღვეველი უფლებამოსილია ანაზღაურება განახორციელოს მეორადი მოხმარების სათადარიგო ორიგინალი ან არაორიგინალი ნაწილებისათვის დადგენილი ფასით. ხოლო, დამზღვევის მიერ ახალი სათადარიგო ნაწილების მოთხოვნის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია ანაზღაურება მოახდინოს, დაზიანებული ნაწილის, ამ კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული ფასით, რომლის მიხედვითაც მზღვეველს წარმოევა ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ზიანის დადგომამდე მდგომარეობისა და ცვეთის გათვალისწინებით. იმავდროულად 3 (სამი) წლამდე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზიანების შემთხვევაში, რომელთაც სხვადასხვა გარემოების გამო არ (ან ადარ) ეკუთვნით შესაბამისი სპეციალიზირებული ავტოცენტრის საგარანტიო მომსახურება, მზღვეველი უფლებამოსილია თავისი სურვილისამებრ აირჩიოს ზარალის ოდენობის განსაზღვრის შესაბამისი შემკეთებელი სერვისცენტრი და/ან კალკულაცია და ხარჯეფექტურობიდან გამომდინარე მოახდინოს ზარალის ოდენობის დაანგარიშება. ყველა შემთხვევაში თუ დაზღვევის ობიექტი იმყოფება სპეციალიზირებული ავტოცენტრის გარანტიაზე დამზღვევი უფლებამოსილია საგარანტიო პერიოდში მომსახურება მიიღოს ავტორიზებულ სერვის ცენტრში.

5.16. თუ დამზღვევის /მოსარგებლის დავალების საფუძველზე სადაზღვევო ანაზღაურების გადარიცხვა ხდება ავტოტექმომსახურების ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე, აუნაზღაურებამდ მინიმუმს (ფრანშიზას) დამზღვევი/მოსარგებლე თავად გადაუხდის ავტოტექმომსახურების ორგანიზაციას.

5.17. კონკრეტული დაზიანების ფაქტზე გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების შემდეგ, თუ აღმოჩნდება რომ აღნიშნულ ზარალზე მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევის/მოსარგებლის მიერ არ მოხმარდა დაზიანებული ქონების აღდგენას, განმეორებითი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას კალკულაციაში არ შეიტანება და ან მზღვეველის მიერ დაკორექტირებული იქნება წინა სადაზღვევო შემთხვევისას მიღებული დაზიანების შეკეთების ღირებულება.

დაზიანებული ქონების შეკეთებისა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია შეკეთებული (აღდგენილი) ქონება წარუდგინოს მზღვეველს დასათვალისწინებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემდგომში, ანალოგიური დაზიანება, ზარალის ანგარიშში არ გაითვალისწინება.

იმ შემთხვევაში თუ დამზღვევის მიერ მისივე სურვილით არ მოხდება დაზიანებული ნაწილის შეცვლა და მზღვეველზე გადაცემა, მზღვეველი ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლებს დაზიანებული ნაწილის საბაზრო ღირებულებას, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია და დამზღვევმა მზღვეველს არ გადაცა დაზიანებული და გამოცვლილი ნაწილი, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დაზიანებული ნაწილის საბაზრო ღირებულების ანაზღაურება დამზღვევისაგან.

5.18. ზარალის ანაზღაურების შემდგომ, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი (მათ შორის მესამე პირების წინაშე) მცირდება ანაზღაურებული ზარალის ოდენობის შესაბამისად. ამასთანავე, დამზღვევმა შეიძლება კვლავ გაზარდოს სადაზღვევო თანხა პირველად ოდენობამდე მზღვეველისათვის დამატებითი პრემიის გადახდის საფუძველზე; ამასთან დაზღვეული ავტოსატრანსპორტის საბაზრო ღირებულების ცვალებადობასთან დაკავშირებით, დამზღვევს შეუძლია პერიოდულად მიმართოს მზღვეველს და მოითხოვოს სადაზღვევო თანხის გაზრდა დამატებითი პრემიის გადახდის საფუძველზე;

5.19. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გარეგანი დაზიანებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტაციის გარეშე სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ სტიქიური მოვლენებით (<http://meteo.gov.ge/natural-disaster>) ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის (მოძრაობის) დროს საქარე მინის დაზიანებისას, რომელზედაც შსს შესაბამისი ორგანოები ზოგადად ცნობას არ გასცემს, მაგალითად დაზიანება ასხლეტილი კენჭით;

5.20. მცირე სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირებისას თუ ასეთი გათვალისწინებულია სადაზღვევო პოლისით:

ა) ზიანის დადგომისას დამზღვევი/უფლებამოსილი მძღოლი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ქოლ ცენტრს +995 322 991 991 და შეატყობინოს ფაქტის შესახებ. მზღვეველის ზარალების ოფიცრისა და საპატრულო პოლიციის მისვლამდე დაუშვებელია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოსატრანსპორტის გადაადგილება, გარდა საპატრულო პოლიციის მოთხოვნისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ანაზღაურებაზე.

ბ) ადგილზე გასვლის შემთხვევაში ზარალების ოფიცერი აფასებს ავტომობილის დაზიანების ხარისხს, რის შესაბამისადაც ადგილზევე ადგენს ავტო-საგზაო შემთხვევის შესწავლის/ანაზღაურების აქტს, სადაც უთითებს დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე ზარალის ოდენობას. თუ დამზღვევი/უფლებამოსილი მძღოლი თანახმაა სადაზღვევო ანაზღაურება მიიღოს ზარალების ოფიცრის მიერ დადგენილი თანხის ოდენობით, ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე.

გ) თუ არ მოხდა ზარალების ოფიცრის შემთხვევის ადგილზე გასვლა, ზარალის დარეგულირება მოხდება საერთო წესისა და პოლისის შესაბამისად საპატრულო პოლიციის ოქმის საფუძველზე ან საპატრულო პოლიციის ოქმის გარეშე.

დ) ანაზღაურების მისაღებად დამზღვევს გადაეცემა ზარალის ანაზღაურების ქვითარი, სადაც მითითებულია მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა. ქვითრის განაღდება შესაძლებელია სს სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ სალაროში.

ე) იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი/უფლებამოსილი მძღოლი არ ეთანხმება მზღვეველის შეფასებას, ზარალი განიხილება ხელშეკრულებით დადგენილი საერთო წესის შესაბამისად.

**6. ზიანის ოდენობაში არ შეიტანება** (თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული):

ა) ავტოტრანსპორტის საგარანტიო შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ღირებულება; ბ) სამუშაოები, დაკავშირებული ავტოტრანსპორტის რეკონსტრუქციასთან, გადაწყობასთან, ან ცალკეული ნაწილების გამოცვლასთან (დამატებით აღჭურვა); გ) ტექნიკური წუნი; დ) ფრანშიზის ოდენობა; ე) ცვეთა.

**7. მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემდეგი გამონაკლისები:**

7.1. ავტოტრანსპორტის ბუნებრივი (მექანიკური) ცვეთა, ჭანგი, კოროზია, გაუფასურება ან/და ისეთი შეკეთება, რომელიც აუმჯობესებს ავტოტრანსპორტის ზარალის დადგომამდე არსებულ მდგომარეობას;

7.2. საბურავის დაშვებით/გახეთქვით ან სხვაგვარად დაზიანებით მხოლოდ საბურავზე დამდგარი ზიანი.

7.3. დამზღვევის არაპირდაპირ ზიანზე (მიუღებელი შემოსავალი), რომელიც სადაზღვევო შემთხვევის შედეგია;

7.4. ავტოტრანსპორტის ქურდობა სარეგისტრაციო მოწმობასთან ან/და გასაღებთან ერთად;

7.5. ავტოტრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობით დამდგარი შემთხვევა, მათ შორის, მუხრუჭების გაუმართაობით, ელექტრონული გაუმართაობით დამდგარი შემთხვევა, მოკლე ჩართვით გამოწვეული ხანძარი, საწვავის სისტემის გაუმართაობით დამდგარი შემთხვევა, ცალკეული ნაწილების, მათ შორის ძრავის და მისი დეტალების, სავალი ნაწილების, გადაცემათა კოლოფის, აკუმულატორის ან სხვა ელექტრომწყობილობის დაზიანება.

7.6. ავტოტრანსპორტის ორმოზე და/ან ნებისმიერ საგანზე გადავლის და/ან სიმაღლიდან ჩამოსვლის შედეგად სავალი ნაწილების დაზიანება (საბურავები, დისკები, კარტერი, სამუხრუჭე ხუნდები და ა.შ) და მითუმეტეს ამგვარი დაზიანებით გამოწვეული სხვა ნაწილების (დეტალების) მწყობრიდან გამოსვლა, გადა იმ შემთხვევისა როდესაც საბურავთან ერთად დაზინდა დისკიც.

7.7. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, თუ ავტოტრანსპორტისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია:

ა) ავტოტრანსპორტის მართვისას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების მდგომარეობაში ყოფნისას ან იმ სამკურნალო პრეპარატების მიღებისას, რომლებიც უკუჩვენებაშია ავტოტრანსპორტის მართვასთან, მიუხედავად ბრალეული მხარისა (დამზღვევის ან მესამე პირისა) ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის) თანახმად მზღვეველს უფლებამოსილებას ანიჭებს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე. ამასთანავე, თუკი დაფიქსირებული შემთხვევისას უფლებამოსილი მძღოლი/მესამე პირი უარს აცხადებს ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევაზე (ტესტირებიაზე), ან არ გაიკეთებს მას 24 საათის განმავლობაში, მზღვეველი უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.

ბ) შესაბამისი რისკი პოლისით დაზღვეული არ არის.

გ) სიჩქარის გადაჭარბება 30 კმ.ს-თ და მეტით; წითელზე გავლა, გარდა იმ შემთხვევებისა თუ აღნიშნული აუცილებელია მესამე მხარის სიცოცხლის ან და ქონების გადარჩენისთვის.

7.8. ნებისმიერ შემთხვევაში ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზიანება, რომელიც არ არის გამოწვეული გარეგანი ზემოქმედების შედეგად.

7.9. არ ანაზღაურდება დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო საჯარიმო სადგომზე გადაყვანის ხარჯი, საჯარიმო სადგომზე დგომისა და გამოყვანის ხარჯი და ასევე ევაკუირების დროს დაზღვეული ავტომანქანის დაზიანების ხარჯი.

7.10. არ ანაზღაურდება ზარალი თუ მძღოლმა მიატოვა შემთხვევის ადგილი, დამრა ან გადაადგილა ავტომანქანა მზღვეველის თანხმობის გარეშე, თუ ამას არ მოითხოვს საპატრულო პოლიცია, არ გამოიძახა შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია (გარდა სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული მცირე სადაზღვევო შემთხვევის პატრულის ოქმის გარეშე დარეგულირების წესის მოქმედებისას), დაუყოვნებლივ არ შეატყობინა მზღვეველს შემთხვევის თაობაზე.

7.11. არ ანაზღაურდება დამზღვევის მიერ მესამე პირის წინაშე დამდგარი პასუხისმგებლობა, თუ მესამე პირის დაზიანებული ქონების მესაკუთრე არის დამზღვევი;

**8. სხვა პირობები:**

8.1. ავტოტრანსპორტის სრული განადგურების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოხდეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის ჩანაცვლება ანალოგიური მოდელის, წლოვანების და ტექნიკური მდგომარეობის ავტოტრანსპორტით, ხოლო სადაზღვევო ანაზღაურების შემდეგ, მზღვეველი საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე პირობების თანახმად იძენს საკუთრების უფლებას განადგურებულ ან გატაცებულ ავტოტრანსპორტზე.

8.2. ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან განადგურების რისკებით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების სრულად გაცემის შემდეგ პოლისი/პირობები, შესაბამის ავტოტრანსპორტთან მიმართებაში უქმდება;

8.3. დამზღვევი (ფიზიკური პირი) უფლებამოსილია თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, თუ ავტოტრანსპორტის დამოუკიდებლად (ბუნებრივად) გადაადგილება შეუძლებელია, ისარგებლოს ავტომობილის ჩანაცვლების სერვისით, მხოლოდ პოლისის მოქმედების პერიოდში, და თუ ასეთი გათვალისწინებულია შესაბამისი სადაზღვევო პოლისით. აღნიშნული სერვისით სარგებლობის უფლება, ჯერადობა, მომსახურებით სარგებლობის ვადა (დღეების რაოდენობა) განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით.

8.4. ავტომობილის ჩანაცვლების მოთხოვნის შემთხვევაში დამზღვევა, ფიზიკური პირის შემთხვევაში, განცხადებით უნდა მიმართოს მზღვეველს. ზემოაღნიშნული სერვისის მიღებისათვის ავტომობილების გამჭირავებლის მიერ დეპოზიტის თანხის მოთხოვნის შემთხვევაში დეპოზიტის თანხას იხდის დამზღვევი, ხოლო მომსახურების თანხას მზღვეველი. მზღვეველის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მომსახურების ვადის გაგრძელება.

**9. სუბროგაციის უფლება**

9.1. თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზარალის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას

**დებონირებულია ნოტარიუსთან. ხელშეკრულების ნომერი N191484750**



შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.

9.2. დამზღვევი (მოსარგებლე) ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს მზღვეველს ყველა მასთან არსებული დოკუმენტი და ხელი არ შეუშალოს მზღვეველს 10.1. პუნქტით განსაზღვრული უფლების რეალიზებაში.

## **10. დავა და ზიანის ანაზღაურება**

10.1. თითოეული მხარე ვალდებულია, უპირობოდ და სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით – ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან/დაგაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი (მიუღებელი სარგებლისა და მორალური ზიანის ჩათვლით) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. თუ დადგინდა, რომ მზღვეველის მიერ მოხდა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა დამზღვევის მიერ რაიმე ხერხით გაყალბებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის საფუძველზე, ასეთი სადაზღვევო ანაზღაურება უნდა დაუბრუნდეს მზღვეველს, მზღვეველისაგან მიღებული შესაბამისი მოტივირებული და დადასტურებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

10.3. ნებისმიერი დავა მხარეთა შორის გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკებისა და შეთანხმების მიღწევის გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები ირჩევენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას - არბიტრაჟს.

10.4. მხარეები გამოხატავენ ნებასა და თანხმობას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა, მათ შორის, აქსესორული ხელშეკრულებიდან თუ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა განსახილველად გადაეცეს შავი ზღვის საერთაშორისო საარბიტრაჟო პალატას (სარეგისტრაციო ნომერი: 212917067).

10.5. მხარეები სრულად იწონებიან არბიტრაჟის მიერ დამტკიცებულ საარბიტრაჟო წარმოების წესებს (დებულებას/რეგლამენტს), მათ შორის, ნებისმიერი შეტყობინების/ინფორმაციის/გზავნილის ჩაბარების წესებს და გამოთქვამენ მზადყოფნას დავის არსებობის პირობებში განხილვა წარმართოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საარბიტრაჟო წარმოების წესებისა და პროცედურის გათვალისწინებითა და დაცვით.

10.6. თუ წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული დებულებები/წესები ეწინააღმდეგება არბიტრაჟის დებულებას/რეგლამენტს ან წესებს გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები/წესები.

10.7. მხარეები აცნობიერებენ, რომ არბიტრაჟში დავა განხილვა ერთპიროვნულად, ერთი არბიტრის მიერ, რომელსაც ნიშნავს არბიტრაჟი: დირექტორი ან თავმჯდომარე.

10.8. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო დავის განხილვა, თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 20 000 ლარს, უნდა განხორციელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ არბიტრაჟი დავას განხილავს და გადაწყვეტს მხოლოდ მისთვის წარდგენილი საბუთებისა და მტკიცებულებების საფუძველზე. ამ წესიდან გადახვევა შესაძლებელი არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე წარუდგენს არბიტრაჟს წერილობით შეთანხმებას, რომ საარბიტრაჟო დავის განხილვა განხორციელდეს ზეპირი მოსმენით, არბიტრაჟის მიერ განხილვის ამ ფორმისათვის დადგენილი პროცედურის/წესების ფარგლებში;

10.9. მხარეები ითვალისწინებენ, რომ არბიტრაჟში საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებში საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე შესაძლებელია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

## **11. მიმოწერა**

11.1. წინამდებარე პირობებით/პოლისით გათვალისწინებული, ასევე წინამდებარე პირობებიდან/პოლისიდან გამომდინარე ურთიერთობებში მხარეთა შეტყობინებები უნდა ჩაბარდეთ პირადად ან გაიგზავნოს საფოსტო გზავნილით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით პოლისში (განაცხადში) მითითებულ მისამართებზე (ადგილსამყოფელი, ტელეფონი, ფაქსი, E-Mail) და იგი ჩათვლება ჩაბარებულად მხარეთათვის ნებისმიერი აქ დათქმული ფორმის გაგზავნისას.

11.2. წინამდებარე პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, შეტყობინება, შენიშვნა ან პრეტენზია გაიგზავნება სმს შეტყობინების გზით დამზღვევის განაცხადში მითითებულ მობილურის ნომერზე, რაზეც დამზღვევი წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას.

11.3. დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მზღვეველს პოლისში (განაცხადში) მითითებულ მისამართებში (ადგილსამყოფელი, ტელეფონი, ფაქსი, E-Mail) ცვლილებების შესახებ. ამასთან აუცილებელია, ახალი რეკვიზიტების სრული და ზუსტი მითითება. ამ წესის დაუცველობის შემთხვევაში, დამზღვევის ვერ მიუთითებს შეტყობინების მიუღებლობის მიზეზად მისამართების შეცვლის ფაქტზე და მას შეტყობინება ჩათვლება მიღებულად წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა შედეგით.

## **12. კონფიდენციალურობა**

12.1. მხარეთა მიერ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ დაიშვება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გაცნობა მესამე პირთათვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ასევე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ხელშეკრულების შესრულებისათვის და ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული ნებისმიერი კორესპონდენციისა და სხვა საქმიანი დოკუმენტაციის მესამე პირთა ხელყოფისა და გაცნობისაგან დაცვა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა;

12.2. მხარეთა ეს მოვალეობა ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის და/ან მოქმედების ვადის დასრულების შემდგომაც;

12.3. გარდა წინამდებარე პირობების თავფურცელში მითითებული პირგასამტეხლოს გადახდისა, წინამდებარე პირობების 12.1. და 12.2. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით .

**დეკონირებულია ნოტარიუსთან. ხელშეკრულების ნომერი N191484750**

**13. დასკვნითი დებულებები**

13.1. მხარეთა შეთანხმება არ მოითხოვება ამ პირობებში ცვლილებების/დამატებების შესატანად, თუ ეს საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

13.2. დამზღვევის ვალდებულებები თანაბრად ვრცელდება დაზღვეულზე და მოსარგებლეზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).